



იარე ფეხით



წლიური ანგარიში 2012-2013

ჩვენს შესახებ

ხედვა

ქვეითთათვის კეთილმოწყობილი საქართველო.

მისია

ორგანიზაცია იარე ფეხით ხელს უწყობს საქართველოს ქალაქებში ქვეითად გადაადგილებას, ცდილობს დაიცვას ქვეითთა უფლებები და დაარწმუნოს ხელისუფლება ადგილობრივ და მუნიციპალური დონეზე შექმნას უკეთესი პოლიტიკა და პრაქტიკა ქვეითთა მხარდასაჭერად.

ჩვენი ღირებულებები

პარტნიორობა ჩვენ ვქმნით სივრცეს თანამშრომლობისათვის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება რეალური ცვლილებების განხორციელება.

დინამიური მიდგომა ჩვენ ვიყენებთ განსხვავებულ მიდგომებს, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის მონაწილეობით ორგანიზებული ქუჩის ღონისძიებები; ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მუნიციპალური და ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავება, რათა შედეგად მივიღოთ ქვეითთათვის კეთილმოწყობილი ქალაქები.

ხელოვნება ადვოკატირებისათვის ჩვენ გვწამს, რომ ხელოვან ადამიანებთან თანამშრომლობით შეგვიძლია შთავაგონოთ, ავამაღლოთ ცნობიერება და ხმა მივაწვდინოთ სხვადასხვა ჯგუფებს და გავაერთიანოთ ისინი საერთო მიზნის გარშემო.

ანგარიშგება ჩვენ ვმუშაობთ, რათა უზრუნველყოთ ორგანიზაციის მაღალი ხარისხის ანგარიშვალდებულება. ჩვენ ანგარიშვალდებულები ვართ დონორების და პარტნიორების წინაშე, რათა მივალწიოთ ეფექტურ და მდგრად ცვლილებას.

სწავლა და განვითარება ჩვენ მუდმივად ვცდილობთ სიახლეებისა და ინოვაციური იდეებისა და გამოცდილების გაზიარებას, რათა ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევების საუკეთესო გადაჭრის გზა ვიპოვოთ.

სარჩევი

ჩვენს შესახებ 2

კომუნიკაციის წყვეტა 4

დასაწყისი 4

2012-2013 წლის შეჯამება 5

იარე ფეხით 2012-13 6

სოციალური ვიდეოები 7

მოქალაქეთა შეხედულება 7

ჭუჩის აქცია 7

მედია გაშუქება 8

სახსრების მოზიდვა 8

ჩვენი მხარდამჭერები 8

ანგარიშგება 9

ჩაერთე 9



კომუნიკაციის წყვეტა

საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის უმრავლესობას სახიფათო და არაეფექტურ სატრანსპორტო საშუალებებს შორის უწევს არჩევანის გაკეთება. ყოველწლიურად, ქვეითთა მონაწილეობით საშუალოდ 1500 ავტოსაგზაო შემთხვევაა რეგისტრირებული.

საჯარო სივრცეების უხეში დარღვევა საერთო ტენდენციად იქცა, რამაც არაერთხელ გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება. საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის შუამავლის არ არსებობის გამო ქვეითთა პრობლემები გაუთვალისწინებელი რჩება.

ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლება უფრო და უფრო იქვემდებარებს ქვეყნის ქუჩებს, პარკებს, საზოგადოებრივ ადგილებს მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.

„იარე ფეხით“ დაარსდა კომუნიკაციაში არსებული წყვეტის აღსადგენად და ქვეითთა უფლებების ეფექტურად წარმოსადგენად. ჩვენ ხელს ვუწყობთ სიარულს, როგორც პირველად, ყველაზე ეფექტურ, ხელმისაწვდომ, ჯანსაღ, ეკოლოგიურად სუფთა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ გადაადგილების საშუალებას და ვმუშაობთ ახალი სტანდარტების შემოტანაზე დემოკრატიული ქალაქის შესაქმნელად.

დასაწყისი

« იარე ფეხით » 2012 წელს დარეგისტრირდა აქტიურ მოქალაქეთა მცირე ჯგუფის მიერ. ორგანიზაციის ძირითად სამიზნე აუდიტორიაში - ახალგაზრდებში იგი თავიდანვე აღიქმებოდა, როგორც დროული და ეფექტური ინიციატივა. დღესდღეობით, ამ მოკლე დროში ორგანიზაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებაა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დაინტერესება შექმნან უსაფრთხო და მიმზიდველი ქალაქი. ორგანიზაციამ საზოგადოებას თავი გააცნო პირველი ქუჩის აქციით «ტროტუარები ქვეითთათვის», რომელშიც ქვეითები ურბანული პრობლემების გადაჭრისას იმოქმედებდნენ, როგორც დამცველთა, განმანათლებელთა, აქტიურ და „ცვლილებების მომტან“ მოქალაქეთა ჯგუფი.



2012-2013 წლის შეჯამება

2012-2013 წლებში ორგანიზაციამ განახორციელა ექვსთვიანი პროექტი სახელწოდებით „walk“ (იარე). პროექტი იყო ქვეითთა ერთგვარი საგანმანათლებლო კამპანია, რათა მათ გაეცნობიერებინათ თავი გარკვეული უფლებების მქონე ჯგუფად. ქვეითთა უფლება-მოვალეობების საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში შეიქმნა 7 სოციალური ვიდეო, რომლებშიც აქცენტი გაკეთდა ქვეითთა სხვადასხვა პრობლემაზე. „ტროტუარი ქვეითთათვის“ - ორგანიზაციის ერთთვიანი საქმიანობის დასკვნითი ღონისძიება გახლდათ. აქტივობაში ჩართული 500-მდე აქტივისტი „იარე ფეხით“-ის სპეციალურ სანიშნებს ათავსებდა ტროტუარზე პარკირებულ მანქანის საჭარე მინებზე, უღებდა სურათებს და შემდგომ გვიგზავნიდა. ყველა ფოტო დაიბეჭდა და გამოიფინა ქალაქის ცენტრის მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, სადაც მხარდამჭერები გაეცნენ ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვის სხვა შესაძლებლობებს.

მონაწილეობა

"WALK 2012-13" კამპანიაში 500-მდე ადამიანი მიიღო მონაწილეობა, 100-მდე ადამიანი გამოცხადდა ქუჩის გამოფენაზე, სადაც წამოდგენილი იყო ავტომობილების მიერ ქვეითთა სივრცის დარღვევის ამსახველი ფოტოები. საუკეთესო ფოტოები ხმის მიცემის გზით გამოვლინდა, ხოლო გამარჯვებულებს სიმბოლური პრიზები გადაეცათ.

ნახვები

სოციალურ ქსელ YouTube-ზე განთავსებულ ვიდეოებზე დაფიქსირდა 6000-მდე ნახვა.

მოხალისეები

2012-13 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაში 10-მდე მოხალისე იყო ჩართული.







სოციალური ვიდეოები

კამპანიის ფარგლებში შექმნილ სოციალურ ვიდეოებში აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

- ტროტუარის არსებობა
- ტროტუარის ხარისხი
- ტროტუარის ხელმისაწვდომობა
- ანტისანიტარია
- განათება
- საცალფეხო გადასასვლელები
- მიწისქვეშა გადასასვლელები
- პარკირება ტროტუარებზე
- გადასასვლელები სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე
- მშენებლობის უსაფრთხოება
- ეტლების გამოყენება ტროტუარებზე

მოქალაქეთა შეხედულებები

„იარე ფეხით“-მა აღბეჭდა სხვადასხვა პროფესიის, ეროვნების და ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეების მოსაზრებები ქვეითთა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. ფოტოზე - *ოლგა რამერი, იოგას ინტრუქტორი, რომელიც საქართველოში თითქმის 10 წელიწადია ცხოვრობს, მან გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები ქვეითთა საკითხებზე და ზოგადად სიარულის დადებით თვისებებზე. უცხოვრია რა რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში, ოლგა თბილისს სხვა ევროპულ ქალაქებს ადარებს და მიიჩნევს, რომ ქალაქის დაგეგმარება ქვეითთა უკეთესი გადაადგილებისთვის, ზოგადად განვითარებისთვის და ტურიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.*

მეტი ქუჩის აქცია

თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან - *"Don't Drink and Drive"*. „იარე ფეხით“-მა შექმნა საშობაო ბარათი, რომელიც მოუწოდებს მძღოლებს სადღესასწაულო პერიოდის მიუხედავად არ მართონ ავტომობილი არაფხიზელ მდგომარეობაში. ორგანიზაციის პარტნიორებმა და მოხალისეებმა 5000 საშობაო ბარათი გაავრცელეს ქალაქში.

მედია გაშუქება

„იარე ფეხით“-ის 2012-13 წლის საქმიანობა გაშუქდა საქართველოს რამდენიმე, ძირითადი ტელეკომპანიის მიერ, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

სურათი: „იარე ფეხით“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

WALK 2012-13 მედია საშუალებები:

[Youtube.com/larePekhit](https://www.youtube.com/larePekhit)
[Public Broadcaster Program](#)
[Sidewalks for Pedestrians Video](#)
Fortuna.ge



სახსრების მოზიდვა

„იარე ფეხით“-ს 2012-13 წლებში ჰყავდა ერთი დონორი: G-PAC
 The East-West Management Institute (EWMI), რომელმაც დააფინანსა პროექტი WALK 5,000 ამერიკული დოლარით.

ჩვენი მხარდამჭერები

- Don't Drink and Drive
- Safedrive
- Radarami



ანგარიშგება

აღნიშნული ინფორმაცია ემსახურება ორგანიზაციის გამჭვირვალობას შესაბამისი კანონებისა და წესების, ასევე სტანდარტული ანგარიშგების ნორმებს დაცვით, რათა მნახველს შეექმნას სწორი შეხედულება მისი სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ.

ორგანიზაციული ფორმა

„იარე ფეხით“ დარეგისტრირებულია, როგორც არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი თბილისის საჯარო რეესტრში, ს/კ 404954279.

კონტაქტი

ი. აბაშიძის ქ. 24^ა, თბილისი, საქართველო 0179

ტელ: +995 322 235309,

+995 595 911603

რეგისტრაციის მისამართი

საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,

აღ. ყაზბეგის გამზ #13, ბ 9

საბანკო დეტალები (ბანკი და აუდიტი)

ბანკი - საქართველოს ბანკი

ბანკი- BAGAGE22

ბენეფიციარი - „იარე ფეხით“

ანგარიშის ნომერი - GE24BG0000000849635600

აუდიტორი

Financial Management Group,

Member of HLB International, დოლიძის ქ. 2,

0123 თბილისი, საქართველო

www.fmg.ge

თანამშრომლები

თვიური ანაზღაურება დაუბეგრავი	თანამშრომელთა რაოდენობა (M/F)	მუშაობის თვეების 2013-14წწ
>USD 300	1 ქალი	6 თვე
>USD 250	1 ქალი	6 თვე
>USD 100	1 ქალი	3 თვე

ჩაერთე

ვიმედოვნებთ, რომ მხარს დაუჭერთ ჩვენს საქმიანობას, რათა ჩვენ შევძლოთ ჩვენი პროექტების განხორციელება და მოქალაქეების ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლა. რამდენიმე გზა არსებობს ჩვენს მხარდასაჭერად:

გაიღე

„იარე ფეხით“-ის მიერ შემოწირულობის სახით მიღებული სახსრები გაიხარჯება ქუჩის აქციების ორგანიზებაზე.

იყავი მოხალისე

„იარე ფეხით“ ყველა პროექტის ფარგლებში იწვევს მოხალისეებს, და საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ პირდაპირი გავლენა, გაეცნონ საქართველოს არასამთავრობო სექტორისა და მასთან დაკავშირებული სამთავრობო ინსტიტუტების მუშაობას.

გამოგვევი

მოიწონე ჩვენი Facebook გვერდი:

www.facebook.com/iarepekhit

- შემოგვიერთდი Youtube-ზე:
- www.youtube.com/larePekhit

ეწვიე ჩვენს ვებგვერდს: www.iarepekhit.org

მოგვწერე: iarepekhit@gmail.com